საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1080

12/11/2019

ქ. თბილისი

უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK”-ის 10 400 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავებზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

სამინისტროს მომართა უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2014 წელს სამინისტროს მიერ უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის 8 400 $მ^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №3 (17.01.2014) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

2018 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 10 სექტემბრის №2-753 ბრძანებით გაიცა „უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის 8 400 $მ^3$ ტევადობის ნავთობროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილების (ტექნიკური წყლის შესანახი 2 000 $მ^3$ რეზერვუარის ნავთობპროდუქტების შენახვნის მიზნით გამოყენება) სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ს საქმიანობის განხორციელება დაევალა 2014 წლის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების დაცვითა და წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული საცავის მოცულობა გაიზარდა და ცვლილების შემდგომ მისმა მოცულობამ შეადგინა 10 400 $მ^3$.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2014 წლის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და 2018 წლის №2-753 ბრძანებით გაცემული სკრინინგის

გადაწყვეტილების საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „უცხოური საწარმოს ფილიალის „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის 8 400 მ^3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №ი-26 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2014 წლის №3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილებასთან ერთად დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის 10 400 მ^3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავებზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა (№3; 17.01.2014) და 2018 წლის №2-753 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების საფუძველზე;
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და სკრინინგის გადაწყვეტილების პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „უცხოური საწარმოს ფილიალის „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის 8 400 მ^3 ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №ი-26 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს უცხოური საწარმოს ფილიალ „ვიბრო დიაგნოსტიკ-VIBRO DIAGNOSTIK“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი